რეპრესიების არქიტექტურა

2026

შედარებითი ანალიზი:
რუსეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი, ვენესუელა, ფილიპინები.



სარჩევი

შესავალი 2

1. რუსეთი 4

I. ქვეყნის ზოგადი კონტექსტი და პოლიტიკური ლოგიკა 4

II. უცხოური გავლენის აგენტების" კანონის საწყისი ეტაპი 4

III. საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება და მისი უგულებელყოფა 5

IV. მედიაზე გავრცელებული შეზღუდვები 5

V. ფიზიკური პირების ჩართვა და „პროპაგანდისტული გაფართოება“ 6

VI. Roskomnadzor-ის რეგულაციები და იძულებითი მარკირება 6

VII. რეესტრის სისტემური გაფართოება 6

VIII. ახალი კანონი და „გადამდები სტატუსი“ 7

IX. ომის შემდგომი რეპრესიები და კანონი „ყალბი ინფორმაციის“ გავრცელების შესახებ 7

2. ვენესუელა 8

3. ფილიპინები 11

4. ბელარუსი 13

5. ყირგიზეთი 16

სამოქალაქო საზოგადოების რეაქცია რეპრესიულ გარემოზე 18

ვენესუელა - შიდა ადაპტაციის მექანიზმები და ფინანსური მედეგობა 18

ფილიპინები - სამართლებრივი და ფინანსური წინააღმდეგობის ფორმები 19

ბელარუსი - შეზღუდვების შემდგომი ფუნქციონირება და დიასპორული სტრატეგიები 19

ციფრული ადაპტაცია და გადარჩენის მექანიზმები 20

შესავალი: სტიგმატიზაცია - რეპრესიის პირველი ეტაპი

პროექტი **„მედეგობის გაძლიერება საქართველოში“** (Strengthening Resilience in Georgia) რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ განზომილებას აერთიანებს და მოიცავს როგორც სტრუქტურულ, ისე ინსტიტუციურ ასპექტებს. წარმოდგენილი ანგარიში ეფუძნება იმ ქვეყნების გამოცდილების შედარებით ანალიზს, სადაც სამოქალაქო ორგანიზაციები მსგავსი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, როგორც ეს ამჟამად საქართველოში შეინიშნება. ამავდროულად, ანგარიში არ შემოიფარგლება მხოლოდ გლობალური და რეგიონული შემთხვევების აღწერით; მისი მიზანია, იქცეს როგორც ანალიტიკურ, ისე პრაქტიკულ ინსტრუმენტად, რომელიც ხელს შეუწყობს შესაძლო განვითარების სცენარების გააზრებასა და ეფექტიანი სამოქმედო სტრატეგიების ფორმირებას. აღნიშნული ანალიზი ეყრდნობა იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომლებმაც უკვე გაიარეს ე.წ. „დემოკრატიული უკუსვლის“ პროცესი. კვლევის ფარგლებში განხილულია შემდეგი ქვეყნების მაგალითები: რუსეთი, ვენესუელა, ფილიპინები, ბელარუსი და ყირგიზეთი.

ანალიტიკური კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების გადარჩენას/ფუნქციონირებას, რომელთა წარმომადგენლები ყოველდღიურად იბრძვიან თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაცვისთვის.

ავტორიტარული რეჟიმების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზაცია და დელეგიტიმაციაა. ეს პროცესი, როგორც წესი, იწყება ისეთი ნარატივის შექმნით, რომლის მიხედვითაც არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი მედია და უფლებადამცველები წარმოჩენილნი არიან არა როგორც საზოგადოებრივ სიკეთეზე ორიენტირებულ აქტორები, არამედ როგორც „უცხო ინტერესების გამტარები“, „დესტაბილიზაციის წყაროები“ ან „სახელმწიფოს მტრები“. მსგავსი ტერმინოლოგიური „იარლიყები“ როგორიცაა „უცხოელი აგენტი“, ან „უცხოეთის აგენტი“ ასოცირდება ღალატთან, ჯაშუშობასა და ეროვნული უსაფრთხოების საფრთხესთან, რაც საზოგადოებაში მიზან-მიმართულად ამკვიდრებს უნდობლობას, შიშსა და სიძულვილს როგორც აქტივისტების, ისე დონორებისა და ე.წ. „კოლექტიური დასავლეთის“ მიმართ.

სტიგმატიზაცია მხოლოდ რიტორიკული ინსტრუმენტი არ არის, იგი ქმნის რეპრესიული პოლიტიკის სოციალურ საფუძველს. საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესუსტების შემდეგ, ხელისუფლება ამარტივებს სამართლებრივი და ადმინისტრაციული შეზღუდვების დაწესებას, რის შედეგადაც ყალიბდება გარემო, სადაც სამოქალაქო აქტივიზმი თანდათან აღიქმება არა როგორც დემოკრატიული პროცესის განუყოფელი ნაწილი, არამედ როგორც რისკის შემცველი საზოგადოება. ამასთან, სტიგმატიზაციის პარალელურად ძლიერდება პიროვნული თავისუფლების დაკარგვის შიში: გზავნილი მკაფიოა - თუ არ დაემორჩილები, აღმოჩნდები ჯარიმის, სისხლისსამართლებრივი დევნის ან პატიმრობის წინაშე.



ნარატივის შექმნა,

საზოგადოებრივი განწყობის შეცვლა,

რეპრესიის გამართლება.

რეპრესიული კანონმდებლობის საბოლოო მიზანი მხოლოდ ინდივიდების დასჯა არ არის. მისი ამოცანაა სამოქმედო სივრცის იმგვარად შევიწროება, რომ ორგანიზაციების ფუნქ-ციონირება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდეს. ადმინისტრაციული ტვირთი, ფინანსური სანქციები, საჯარო „იარლიყები“ და მუდმივი ზედამხედველობა ქმნის გარემოს, რომელშიც ორგანიზაციები ხშირად იძულებულნი არიან, აირჩიონ თვითლიკვიდაცია ან საქმიანობის შეჩერება. ამ პროცესში ხელისუფლება ფორმალურად ინარჩუნებს **„ნეიტრალურ“ პოზიციას** - თითქოს გადაწყვეტილება თავად ორგანიზაციებმა მიიღეს, მაშინ როდესაც რეალურად სისტემური ზეწოლა ხელოვნურად ზღუდავს მათ არჩევანს.

ამგვარად, სტიგმატიზაცია წარმოადგენს რეპრესიული სტრატეგიის საწყის და საკვანძო ეტაპს: იგი ამზადებს საზოგადოებრივ აზრს, ამართლებს სამართლებრივ შეზღუდვებს და აყალიბებს „ჩვენ მათ წინააღმდეგ“ ტიპის კონსტრუქციას, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება საკუთარ ოპონენტებს ქვეყნის „შიდა მტრებად“ წარმოაჩენს. სწორედ ამ ლოგიკით განვითარდა „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონმდებლობის ევოლუცია რუსეთში და სწორედ ამ მოდელის გადმოტანაა თვალსაჩინო სხვა ავტორიტარულ ან დემოკრატიული უკუსვლის პროცესში მყოფ ქვეყნებში.



1. რუსეთი

I. ქვეყნის ზოგადი კონტექსტი და პოლიტიკური ლოგიკა

ავტორიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი პრაქტიკაა **არასამთავრობო სექტორის საქმიანობა საზოგადოებას დესტრუქციულად, ან ანტისახელმწიფოებრივად დაანახოს.** ამგვარი „მტრის ხატის“ შექმნის პროცესი, როგორც წესი, მიზანმიმართული ზეწოლისა და ეტაპობრივი შეზღუდვების ქრონოლოგიად იქცევა, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ლოგიკით აქტიურდება და საბოლოოდ სამოქალაქო საზოგადოებას მოქმედების სივრცეს მნიშვნელოვნად უზღუდავს. მსგავსი სცენარი პოსტსაბჭოთა სივრცეში არაერთხელ განხორციელებულა, ამ მხრივ, ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ვლადიმერ პუტინის ადმინისტრაციის მიერ გატარებული პოლიტიკა.

რუსეთის შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას თანმიმდევრული, ეტაპობრივი და ინსტიტუციურად გამყარებული ხასიათი ჰქონდა. სახელმწიფოს სტრატეგია არ შემოიფარგლებოდა ცალკეული ორგანიზაციების შეზღუდვით; **მთავარი მიზანი იყო საზოგადოებაში არასამთავრობო სექტორის, დამოუკიდებელი მედიისა და აქტივისტების „მტრულ სუბიექტებად“ წარმოჩენა.**

როგორ ვრცელდებოდა კანონი წლების მიხედვით

- 2012 — პირველი კანონი „უცხოური აგენტების“ შესახებ
- 2017 — კანონის გავრცელება მედიაზე
- 2019 — კანონის გავრცელება ფიზიკურ პირებზე
- 2020 — იძულებითი მარკირების რეგულაციები (Roskomnadzor)
- 2021 — რეესტრის მასობრივი გაფართოება
- 2022 — „უცხოური გავლენის აგენტის“ ახალი კანონი
- 2022 — „Fake news“ კანონი ომის შემდეგ

II. „2012 წელი - უცხოური გავლენის აგენტების” კანონის საწყისი ეტაპი

არასამთავრობო სექტორის რეპრესირების საწყის ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 2012 წლის 20 ივლისი, როცა მოსკოვში „უცხოური გავლენის აგენტების” კანონის პირველი ვერსია დამტკიცდა, რომელიც ძალაში იმავე წლის 21 ნოემბერს შევიდა. მთავარი პროპაგანდისტული გზავნილი სახელწოდებაშივე იკითხებოდა - „აგენტი“, რომელიც ფაქტობრივად, შპიონაჟის სინონიმი იყო, რაც საზოგადოებაში უცხოელ დამფინანსებელთა მიმართ შიშსა და სიძულვილს იწვევდა.

კანონის მიხედვით, რუსეთში მოქმედი დამოუკიდებელი არამომგებიანი ორგანიზაციები, საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსების შემთხვევაში, უცხოეთის აგენტებად ცხადდებოდნენ, ხოლო მათი საქმიანობა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის ტოლფასად მიიჩნეოდა. თავის მხრივ, „პოლიტიკური საქმიანობის“ ფართო და ბუნდოვანი განმარტება, კრემლის კონტროლის სისტემას განსაკუთრებულ მოქნილობას ანიჭებდა.

დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ორგანიზაციებს, რომლებიც სტატუსის მიღებაზე უარს იტყოდნენ, **საქმიანობა ექვს თვემდე ვადით შეუჩერდებოდათ სასამართლოს განჩინების გარეშე**, ხოლო ხელმძღვანელ პირებს ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა და სოლიდური ჯარიმები ეკისრებოდათ.

III. საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება და მისი უგულებელყოფა

2022 წლის ივნისში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა 73 არაკომერციული ორგანიზაციის სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ და დაადგინა, რომ აღნიშნული კანონმდებლობა არსებითად არღვევდა ადამიანის ძირითად უფლებებს, შეიცავდა ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. სასამართლომ რუსეთს თითოეული დაზარალებული ორგანიზაციისთვის 10,000 ევროს კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

კრემლმა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება უგულვებელყო და ორგანიზა-ციებისთვის ზარალი არ აუნაზღაურებია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის რუსეთის ფერედაცია ევროპის საბჭოს წევრი აღარ იყო.

ნაცვლად გადაწყვეტილების აღსრულებისა, უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ არაკომერციული ორგანიზაციების „ჯაშუშთა სია“ მკვეთრად გაფართოვდა, რის შედეგადაც რეპრესირებულთა რაოდენობაც გაიზარდა.

IV. 2017 წელი - მედიაზე გავრცელებული შეზღუდვები

შეზღუდვების სერია 2017 წელს გაგრძელდა და ამჯერად მედიას შეეხო. 2017 წლის ნოემბერში აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა ტელეკომპანია Russia Today (RT), რომელიც 2005 წლიდან კრემლის დაფინანსებით მოქმედებდა და საგარეო პოლიტიკის პროპაგანდისტულ ინსტრუმენტად იყო ჩამოყალიბებული, აშშ-ის კანონმდებლობის Foreign Agents Registration Act (FARA) ფარგლებში „უცხოელი აგენტის“ სტატუსით დაარეგისტრირა. სწორედ ამ ნაბიჯს მოჰყვა რუსეთის დუმის საპასუხო რეაქცია: „სარკისებური ზომების“ პრინციპით მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ხელისუფლებას ანიჭებდა უფლებამოსილებას, ნებისმიერი უცხოური მედია-საშუალება რუსეთის ტერიტორიაზე „უცხოელი აგენტის“ სტატუსით დაერეგისტრირებინა. ამგვარად, 2017 წლის ცვლილებები წარმოადგენდა კრემლის პოლიტიკურ პასუხს დასავლური რეგულირების მექანიზმებზე და მედიის სფეროში „აგენტების“ ინსტრუმენტის გაფართოების მნიშვნელოვან ეტაპს. რეალურად, ეს სავალდებულო რეგისტრაცია არა მხოლოდ საშუალება გახდა უცხოური მედიის კონტროლისთვის, არამედ შემზღუდავი მექანიზმი, რომელიც ემუქრებოდა ქვეყანაში დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ფუნქციონირებას.

„უცხოელი აგენტის“ სტატუსის მინიჭებისთვის საკმარისად ჩაითვალა ფინანსური მხარდაჭერა და ორგანიზაციის რეგისტრაცია საზღვარგარეთ, რაც ხელისუფლებას აძლევდა კანონის შერჩევით გამოყენების ფართო შესაძლებლობას..

V. 2019 წელი - ფიზიკური პირების ჩართვა და „პროპაგანდისტული გაფართოება“

2019 წლის 2 დეკემბერს მიღებულმა ფედერალურმა კანონმა **„უცხოელი აგენტის“ სტატუსი ფიზიკურ პირებზეც გაავრცელა.** აღნიშნული ცვლილება წარმოადგენდა საპასუხო რეაქციას აშშ-ში მარია ბუტინას დაკავებისა და სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელიც რუსეთში ფართო პროპაგანდისტულ კამპანიის საგნად იქცა.

მარია ბუტინას საქმე დაკავშირებული იყო აშშ-ის კანონმდებლობის, კერძოდ Foreign Agents Registration Act-ის დარღვევასთან, რაც გულისხმობს უცხო სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენლობას შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე. აღნიშნული გარემოება რუსეთის ოფიციალურ ნარატივში გამოყენებულ იქნა როგორც არგუმენტი „უცხოელი აგენტის“ ინსტიტუტის გაფართოების ლეგიტიმაციისთვის, მათ შორის ფიზიკურ პირებზე გავრცელების დასასაბუთებლად.

ბუტინას დაბრუნება და მისი მედია-პლატფორმაზე დაწინაურება კრემლში კანონის შემდგომი გაფართოებისთვის გამოიყენეს კიდეც და სტატუსი იმ ფიზიკურ პირებზეც გავრ-ცელდა, რომლებიც თანამშრომლობდნენ აღნიშნული სტატუსით გამოცხადებულ მედია ორგანიზაციებთან.

VI. 2020 წელი - Roskomnadzor-ის რეგულაციები და იძულებითი მარკირება

2020 წლის 23 სექტემბერს Roskomnadzor-მა (რუსეთის ფედერალური სამსახური კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მასობრივი კომუნიკაციების ზედამხედველობისთვის) გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც „უცხოური/უცხოელი აგენტის“ სტატუსის მქონე სუბიექტის ხსენება შესაბამისი სპეციალური აღნიშვნის გარეშე იკრძალებოდა. კერძოდ, ბეჭდურ და ონლაინ მასალებში მითითებული აღნიშვნა უნდა ყოფილიყო ძირითადი შრიფტის ორმაგი ზომის, ხოლო აუდიოვიზუალურ კონტენტში ეკრანის მინიმუმ 20%-ზე გამოსახული და ყოველ 15 წუთში განმეორებადი.

VII. 2021 წელი - რეესტრის სისტემური გაფართოება

რეესტრის მასშტაბური გაფართოების სამართლებრივი საფუძველი შეიქმნა 2019 წლის 2 დეკემბერს მიღებული ფედერალური კანონით, რომელმაც „უცხოელი აგენტის“ სტატუსი ფიზიკურ პირებზეც გაავრცელა. 2020 წლის შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებებით „პოლიტიკური საქმიანობისა“ და „მედიასთან თანამშრომლობის“ განმარტებები კიდევ გააფართოვა. აღნიშნულმა რედაქციებმა იუსტიციის სამინისტროს მისცა უფლებამოსი-ლება, უცხოეთიდან დაფინანსების ან „ორგანიზაციული/ინფორმაციული მხარდაჭერის“ არსებობის შემთხვევაში, რეესტრში შეეყვანა არა მხოლოდ ორგანიზაციები, არამედ ცალკეული პირებიც, მათ შორის ისინი, ვინც „უცხოელი აგენტის“ სტატუსის მქონე მედიასთან თანამშრომლობდნენ ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე საჯაროდ აქტიურობდნენ.

სწორედ ამ ნორმატიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, 2021 წლიდან იუსტიციის სამინისტრომ რეესტრის გაფართოება სისტემურ პროცესად აქცია. სიაში ხვდებოდნენ დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, ჟურნალისტები, სამოქალაქო აქტივისტები, უფლებადამცველები და პოლიტიკოსები. პრაქტიკაში, „უცხოური გავლენის აგენტად“ შესაძლოა მიჩნეულიყო თითქმის ნებისმიერი საჯარო აქტორი, ვისაც სოციალური მედიის ანგარიში ჰქონდა და საზოგადოებრივ საკითხებზე ღიად გამოხატავდა პოზიციას, რაც კანონის ფართო და ბუნდოვანი ფორმულირებებიდან გამომდინარეობდა.

VIII. 2022 წელი - ახალი კანონი და „გადამდები სტატუსი“

2022 წლის 14 ივნისს, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ახალ კანონს, რომლის მიხედვითაც „უცხოური გავლენის აგენტად“ ცხადდებოდა ნებისმიერი პირი, რომელიც **იღებდა გარე არაფინანსური ხასიათის მხარდაჭერას.** კანონმა შექმნა ახალი კატეგორია - **„უცხოური გავლენის აგენტთან დაკავშირებული პირები“,** რითაც სტატუსი „გადამდები“ ხასიათის გახდა და შეიძლება გავრცელდეს პირებზე, რომლებიც თანამშრომლობენ ან ურთიერთობაში არიან უკვე გამოცხადებულ „უცხოელ აგენტებთან“.

IX. ომის შემდგომი რეპრესიები და კანონი „ყალბი ინფორმაციის“ გავრცელების შესახებ

უკრაინაში სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყებიდან მალევე, 2022 წლის 4 მარტს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რუსეთის შეიარაღებული ძალების შესახებ ე.წ. „ცრუ ინფორმაციის“ გავრცელებისთვის. აღნიშნული ცვლილებები შევიდა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 207.3 მუხლი-ში. კანონის მიხედვით, „მცდარი ინფორმაციის“ გავრცელება, რომელიც არ ემთხვევა ოფიციალურ სახელმწიფო ნარატივს, შეიძლება დასჯილიყო მკაცრი სანქციებით, მათ შორის, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, მაქსიმუმ 15 წლამდე. კანონის მიღებიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში აღიძრა დაახლოებით 80 სისხლისსამართლებრივი და 3 500 ადმინისტრაციული საქმე.

კანონის ამოქმედებიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში აღიძრა დაახლოებით 80 სისხლისსამართლებრივი და 3 500 ადმინისტრაციული საქმე. აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთ პირველ პრეცედენტად მიიჩნევა ალექსეი გორინოვის საქმე, რომელიც მუნიციპალური საბჭოს დეპუტატი იყო. მას რუსეთის პროკურატურამ ბრალი დასდო რუსული არმიის შესახებ „ყალბი ინფორმაციის“ გავრცელებაში. ბრალდება ეფუძნებოდა მის განცხადებას მუნიციპალური საბჭოს სხდომაზე, სადაც მან უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს „ომი“ უწოდა, ნაცვლად ოფიციალურად დამკვიდრებული ტერმინისა - „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“.

ასევე აღსანიშნავია, რომ ეს სამართლებრივი ჩარჩო დაემატა სხვა რეგულაციებსაც, როგორიცაა „რუსეთის შეიარაღებული ძალების დისკრედიტაციის“ შესახებ ნორმები, რამაც კიდევ უფრო გაამკაცრა ინფორმაციული სივრცის კონტროლი.

2. ვენესუელა

ვენესუელას სამოქალაქო სივრცის წინააღმდეგობის ანალიზი ეფუძნება იმ სოციალურ-პოლიტიკური გარემოს შეფასებას, სადაც სახელმწიფო სისტემურად იყენებს სამართლებრივ, ფინანსურ და ციფრულ რეპრესიულ მექანიზმებს. აღნიშნულ პირობებში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები იძულებულნი არიან იფუნქციონირონ ე.წ. „გადარჩენის რეჟიმში“, რათა შეინარჩუნონ ოპერაციული და ფინანსური მდგრადობა.

სახელმწიფო ინსტიტუტები, განსაკუთრებით სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სისტემა, სრულად არის დამოკიდებული მმართველ ძალაზე, რაც არსებითად ზღუდავს სამართლებრივი გზებით პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტის შესაძლებლობას. შედეგად, სამართლებრივი მექანიზმები კარგავს ფუნქციურობას და ვერ უზრუნველყოფს სამოქალაქო სექტორის უფლებების დაცვას. ეს გარემოება კი არასამთავრობო ორგანიზაციებს აიძულებს, გადარჩენისა და საქმიანობის გაგრძელების მიზნით მიმართონ ალტერნატიულ გზებს/ სტრატეგიებს.



სახელმწიფო რეპრესიების არქიტექტურა

ვენესუელას სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა უკავშირდება სახელმწიფო უწყებების სრულ დამოკიდებულებას მმართველ ძალაზე ნიკოლას მადუროს მმართველობის პერიოდში. რეჟიმი ჰუმანიტარულ საჭიროებებსაც კი იყენებდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორების საქმიანობის შეზღუდვისთვის. (1)

2026 წლის მოვლენების შემდეგ მადურო აღარ იკავებს პრეზიდენტის თანამდებობას, თუმცა მისი მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბებული ინსტიტუციური პრაქტიკები კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო გარემოზე.

---

1. მაგალითად, 2019 წელს კოლუმბია–ვენესუელას საზღვარზე საკვებისა და სამედიცინო მომსახურების ჰუმანიტარული დახმარებაც კი გააჩერეს. ეს იმიტომ, რომ რეჟიმი სისტემატურად იყენებდა ჰუმანიტარულ საჭიროებებს (მაგ.: საკვების/ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა), როგორც ბერკეტს კრიტიკულად მნიშვნელოვანი აქტორების საერთაშორისო ჩართულობის შესაფერხებლად. მადუროს თქმით, „ვენესუელა სხვა ქვეყნებისგან დახმარებას არ აიღებს“.



“ვენესუელა სხვა ქვეყნებისგან დახმარებას არ აიღებს. ”

ნიკოლას მადურო

მადუროს რეჟიმი სისტემატურად იყენებდა საკანონმდებლო მექანიზმებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირებისა და შეზღუდვის მიზნით. ამ პროცესის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს 2024 წლის ნოემბერში მიღებული „არასამთავრობო ორგანიზაციების და არაკომერციული სოციალური ორგანიზაციების ზედამხედველობის, რეგულაციის, ოპერაციისა და დაფინანსების“ კანონი, რომელიც განსაზღვრავს და ამკვიდრებს სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებულ მექანიზმებს და ზღუდავს არასამთავრობო სექტორის დამოუკიდებლობას.

აღნიშნული კანონმდებლობა:

- ამკაცრებს ადმინისტრაციულ მოთხოვნებს;
- აწესებს სპეციალური უფლებამოსილების სავალდებულო მიღებას სხვადასხვა საქმიანობისთვის;
- შემოაქვს “პოლიტიკურად მოტივირებულის” კრიტერიუმები, როგორიცაა, მაგალითად, შესაძლო ტერორისტული საფრთხე;
- ადგენს დაფინანსების წყაროების შეფასების სისტემას.

შედეგად, იზღუდება ასოციაციისა და შეკრების თავისუფლება და იზრდება ორგანიზაციების საქმიანობის კრიმინალიზაციის რისკი.

ადმინისტრაციული და სამართლებრივი ზეწოლის მექანიზმები:

ვენესუელაში რეპრესიული პრაქტიკა, მნიშვნელოვანწილად, ხორციელდება გადაჭარბებული ადმინისტრაციული მოთხოვნებისა და პროცედურების დაწესების გზით. კანონმდებლობით განსაზღვრულია **„უკანონო ფორმალური ქმედებები“**, რომელთა შორის მოიაზრება: **(1) რეგისტრაციის გარეშე მოქმედება, (2) დაფინანსებისა და დონაციების შესახებ ინფორმაციის არასრულად ან საერთოდ არწარდგენა და (3) სახელმწიფო ზედამხედველობის თავიდან არიდება.** აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს მკაცრ სანქციებს და ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერებას ან სრულად შეწყვეტასაც.

სახელმწიფო აწესებს არაპროპორციულად და გაუმართლებლად მძიმე ადმინისტრაციულ ვალდებულებებს, მათ შორის **სავალდებულო ხელახალ რეგისტრაციას ყოველ 180 დღეში** და პერიოდულ შეფასებებს, რაც გამიზნულად მიმართულია არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირების შეფერხებისთვის და რესურსების პარალიზებისთვის, პირდაპირი რეპრესიული ჩარევის გარეშე.

ციფრული რეპრესიები და საკომუნიკაციო სტრატეგიები

ტრადიციული ცენზურისგან განსხვავებით, ციფრული რეპრესიები ვენესუელაში გამოიხატება ინტერნეტ სივრცეზე წვდომის შეზღუდვით, პლატფორმების ბლოკირებითა და ინფორმაციის გავრცელების მკაცრი რეგულირებით. მასობრივი კონტროლის პირობებში, სახელმწიფო ახორციელებს მასშტაბურ მონიტორინგსა და კონტროლს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს თავისუფალ კომუნიკაციას.

საპასუხოდ, სამოქალაქო საზოგადოებამ მობილიზაციისა და ორგანიზებისთვის ძირითად მექანიზმად შეიმუშავა დაცული საკომუნიკაციო არხების გამოყენება. აპლიკაციები (EMA), როგორიცაა, მაგალითისთვის, WhatsApp, მნიშვნელოვან საშუალებად იქცა პოლიტიკური ინფორმაციის გაცვლისა და საზოგადოებრივი საკითხების განხილვისთვის, რაც ორგანიზაციებს გარკვეულწილად იცავს სახელმწიფო მეთვალყურეობისგან და სთავაზობს კომუნიკაციის იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ტრადიციული მედიის პირობებში შეზღუდულია.

თუმცა, ასეთი დაცული და დახურული არხების გამოყენებამ გარკვეული პარადოქსული ეფექტიც წარმოშვა: მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზრდის უსაფრთხოებას, მათი ნაკლებად გამჭვირვალე ბუნება ქმნის დეზინფორმაციის, პროპაგნადისა დამანიპულაციური შინაარსის გავრცელების დამატებით რისკებს. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებს უწევთ ფოკუსის გადატანა არა მხოლოდ უსაფრთხო კომუნიკაციის უზრუნველყოფაზე, არამედ ინფორმაციის სანდოობისა და გამჭვირვალობის კონტროლზეც. ასეთი არხები (მაგ. VPN-ები, End-to-End დაშიფრული მესენჯერები) უზრუნველყოფს, რომ ხელისუფლების მიერ აკრძალული ინფორმაცია მაინც გავრცელდეს ფარულად, რაც დამატებით სირთულეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოებას, რომლებიც სისტემატურად ებრძვიან დეზინფორმაციას.

3. ფილიპინები

ფილიპინებში სამოქალაქო საზოგადოება ფუნქციონირებს მუდმივი და სისტემური პოლიტიკური წნეხის პირობებში. ძირითადი გამოწვევები დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ დეზინფორმაციულ და სტიგმატიზაციის კამპანიებთან, მათ შორის როგორიცაა ცნობილი **„გაწითლების“ პრაქტიკასთან**, რომელიც დაიწყო 2017 წლიდან, ყოფილი პრეზიდენტის როდრიგო დუტერტეს მმართველობის დროს. **აღნიშნული ტაქტიკა გულისხმობს აქტივისტების, ჟურნალისტებისა და ოპოზიციური ფიგურების კომუნისტურ ან ტერორისტულ ელემენტად გამოცხადებას**, რაც ქმნის შიშის, თვითცენზურისა და მუდმივი ფსიქოლოგიური წნეხის გარემოს.

„გაწითლების“ (red-tagging) ტაქტიკა

↓

აქტივისტი/ჟურნალისტი

↓

“კომუნისტად/ტერორისტად” გამოცხადება

↓

ონლაინ კამპანია / დეზინფორმაცია

↓

შიში და თვითცენზურა

↓

დაკავება / რეპრესიები

სახელმწიფო სტრუქტურები სისტემატურად იყენებენ ციფრულ მექანიზმებს, დეზინ-ფორმაციასა და ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მქონე ანტიტერორისტულ კანონმდებლობას ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ.

სოციალური მედია, განსაკუთრებით „ფეისბუკი“ ხშირად გამოიყენება „გაწითლების“ კამპანიების გასავრცლებლად, რაც იწვევს ონლაინ ძალადობას, პერსონალური მონაცემების გავრცელებასა და ხელისუფლების კრიტიკოსების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

ციფრულ ზეწოლასთან ერთად, აქტივისტები ხშირად ხდებიან ფიზიკური რეპრესიების მსხვერპლიც. მათ მიმართ გამოიყენება ისეთი ზომები, როგორიცაა სასამართლო პროცესის გარეშე დაკავება, ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ გამოცხადება, იძულებითი გაუჩინარება და მკვლელობებიც კი. ამ კუთხით, მიშვნელოვანია 2020 წელს მიღებული „ანტიტერორისტული კანონი“, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წინასწარი განკარგულების გარეშე გაამართლონ ეჭვმიტანილთა ხანგრძლივი პატიმრობა და აქტივისტებს დაუსაბუთებელი ბრალდებები წაუყენონ.

ეს სისტემა, რომელიც აერთიანებს ციფრულ და ფიზიკურ ზეწოლას, ემსახურება როგორც შიდა რეპრესიების გაძლიერებას, ისე გარე ლეგიტიმაციის უზრუნველყოფას. ქვეყნის შიგნით „გაწითლების“ კამპანიები იწვევს აქტივისტებსა და ჟურნალისტებში ფსიქოლოგიურ სტრესს, შიშსა და თვითცენზურას, რის შედეგადაც ისინი ხშირად ზღუდავენ საკუთარ საქმიანობას. საერთაშორისო დონეზე კი მსგავსი ქმედებები ხშირად წარმოდგენილია როგორც აუცილებელი ზომები აჯანყებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, რაც ხელისუფლებას საკუთარი პოლიტიკის გამართლებისა და ლეგიტიმაციის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს.

ციფრული ზეწოლა	ფიზიკური ზეწოლა
სოციალური მედია კამპანიები	დაკავებები
დეზინფორმაცია	იძულებითი გაუჩინარება
პერსონალური მონაცემების გავრცელება	მკვლელობები
ონლაინ ძალადობა	ანტიტერორისტული კანონი

სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა აქტივისტების, მათ შორის სტუდენტების მიმართ განხორციელებულ ზომებს, ხშირად მათ დაკავებებს. ეს წარმოადგენს გრძელვადიან სტრატეგიულ გათვლას: ახალგაზრდა აქტივისტების კარიერული პერსპექტივების შეზღუდვით, მათი გაჩუმებით, იზოლირებითა და დაშინებით, სახელმწიფო ცდილობს შექმნას საფუძველი სამოქალაქო საზოგადოების გრძელვადიანი დასუსტებისა და მასზე კონტროლის განმტკიცებისთვის.

ფილიპინებში სახელმწიფო კრიტიკული ხმების წინააღმდეგ იყენებს მაღალ დონეზე პერსონალიზებულ ციფრულ და პოლიტიკურ მექანიზმებს. „გაწითლების“ (red-tagging) ტაქტიკა გულისხმობს დისკრედიტაციის კამპანიებს, რომლის ფარგლებშიც აქტივისტებსა და ხელისუფლების კრიტიკოსებს კომუნისტურ იდეოლოგიასთან აკავშირებენ. აღნიშნულ პრაქტიკას ხშირად მიმართავენ პოლიტიკური ფიგურები და სახელმწიფო უსაფრთხოების წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. კრიტიკოსებს საჯაროდ მოიხსენიებენ როგორც „კომუნისტ აჯანყებულებს“ ან „ტერორისტებს“, რაც მათ დამატებით საფრთხის წინაშე აყენებს და ამართლებს მათ მიმართ რეპრესიული ზომების გამოყენებას.

ფილიპინებში ციფრული მედეგობა მიმართულია ონლაინ ძალადობის, დეზინფორმაციის და „გაწითლების“ კამპანიების გავლენის შესამცირებლად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიასა და ციფრულ პლატფორმებს მონაცემთა შეგროვებისა და სამართლებრივი ბრძოლისთვის. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს უფრო კოორდინირებულ რეაგირებას და გარკვეულწილად აძლიერებს ორგანიზაციების დაცვას სახელმწიფო რეპრესიული მექანიზმებისგან.

4. ბელარუსი

პოსტსაბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ბელარუსი გამოირჩევა მზარდი ავტორიტა-ტული რეჟიმით, რომელიც კონტროლს ამყარებს თავისუფალი საზოგადოების პრაქტიკულად ყველა სფეროზე.

მასობრივი კონტროლისა და პოლიტიკური წნეხის ფონზე განსაკუთრებით მძიმეა არასამთავრობო ორგანიზაციების მდგომარეობა, რომელთა წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ჩარჩო წლიდან წლამდე ფართოვდება. ბელარუსში არასამთავრობო სექტორზე მკაცრმა მეთვალყურეობამ და შეზღუდვებმა პიკს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მიაღწია, როდესაც მასობრივ პროტესტს ხელისუფლების მხრიდან კანონმდებლობის მკვეთრი გამკაცრება და ფართომასშტაბიანი რეპრესიები მოჰყვა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, ბელარუსში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლამ მკაფიოდ სამართლებრივი ფორმა შეიძინა, რაც ცალსახად მიუთითებს ხელისუფლების მიზანზე - **სამოქალაქო სექტორის სისტემურ დასუსტებასა და ეტაპობრივად სრულ გაუქმებაზე.** 2025 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან დღემდე, დაახლოებით, 1981 არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა შეიზღუდა ან მთლიანად აიკრძალა, რაც მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფკავშირებს, პოლიტიკურ პარტიებს, ფონდებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს. პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორის როგორც იძულებითი ლიკვიდაციის, ისე თვითლიკვიდაციის პროცესი, რაც განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან გაძლიერებული რეპრესიებითა და მუდმივი ინსტიტუციური წნეხით.

არასამთავრობო სექტორის რეპრესიების ქრონოლოგია

- 1999 — საჯარო ასოციაციების შესახებ კანონი
- 2001 — უცხოური დახმარების სავალდებულო რეგისტრაცია სახელმწიფოში
- 2003 — პრეზიდენტის დეკრეტი — უცხოური დაფინანსების მკაცრი კონტროლი (უცხოური დაფინანსება პრეზიდენტის კონტროლის ქვეშ გადადის)
- 2011 — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არარეგისტრირებულ ორგანიზაციებზე
- 2020 — პრეზიდენტის #3 დადგენილება - დაფინანსებისა და ანგარიშგების დამატებითი შეზღუდვები
- 2020 — (არჩევნების შემდეგ) - მასობრივი რეპრესიები და NGO-ების დახურვის ტალღა

2021–2025 წლებში ბელარუსში 1981 არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა შეიზღუდა ან მთლიანად აიკრძალა.

სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება და გამკაცრება

ბელარუსში არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებისა და მოქმედების შეზღუდვა 2000-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყოა. ჯერ კიდევ **2001 წელს** ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც **ორგანიზაციამ უცხოური დახმარება სახელმწიფოს შესაბამის სააგენტოში უნდა დაარეგისტრიროს**. ასევე მკაცრად კონტროლდება უცხოური დაფინანსების მიღებისა და გამოყენების ჩარჩოები.

საკანონმდებლო ჩარჩო კიდევ უფრო გამკაცრდა **2003 წელს**, პრეზიდენტის 24-ე დეკრეტის - **„უცხოური უსასყიდლო დახმარების მიღებისა და გამოყენების შესახებ“ მიღების შედეგად, რომელმაც დეტალურად განსაზღვრა უცხოური დაფინანსების მიღებისა და გამოყენების საზღვრები და მნიშვნელოვნად გაზარდა პრეზიდენტის ინსტიტუციური კონტროლი არასამთავრობო ორგანიზაციებზე.**

დეკრეტის მიხედვით, უცხოური დაფინანსების მიმღები ყველა ორგანიზაცია ვალდებული გახდა, აღნიშნული დაფინანსება დაერეგისტრირებინა ბელარუსის პრეზიდენტის ქონების მართვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული საქმიანობის განყოფილებაში, რის შედეგადაც დაფინანსების რეგულირება სამთავრობო სამინისტროებიდან პირდაპირ პრეზიდენტის კონტროლის ქვეშ მოექცა. ამასთან, მკაცრად აიკრძალა უცხოური დაფინანსების გამოყენება რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის მიღებამდე.

უცხოური დაფინანსების გამოყენების აკრძალვები და ნებადართული ჩარჩოები

კანონმდებლობამ მკაფიოდ გამიჯნა უცხოური დაფინანსების გამოყენების აკრძალული და შეზღუდულად ნებადართული სფეროები. აკრძალულია უცხოური დაფინანსების გამოყენება კონსტიტუციური ცვლილებების, ხელისუფლების დამხობისკენ მიმართული საქმიანობისთვის, აგრეთვე მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვების, არჩევნებისა და რეფერენდუმების ორგანიზებისა და სააგიტაციო მასალების დასამზადებლად. პარალელურად, **ნებადართულად** განისაზღვრა **უცხოური დაფინანსების გამოყენება სამედიცინო, სოციალური და ჰუმანიტარული დახმარებისთვის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევებისთვის**, ასევე ბუნებრივი და ტექნიკური საგანგებო სიტუაციების დროს დახმარების გასაწევად.

რეგისტრაცია როგორც კონტროლის ინსტრუმენტი

ბელარუსის კანონმდებლობის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია დარეგისტრირდეს იუსტიციის სამინისტროში, რათა შეძლოს საქმიანობის კანონიერად განხორციელება. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს 1999 წლის კანონი „საჯარო ასოციაციების შესახებ“, რომელიც რეგისტრაციის მექანიზმს სახელმწიფოს ხელში ეფექტურ საკონტროლო ბერკეტად აქცევს. „ასოციაციების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმა შესაძლებელია ადმინისტრაციული ხარვეზების არსებობის საფუძველზე, რაც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს ორგანიზაციების რეგისტრაცია შეაფერხოს უმნიშვნელო ტექნიკური მიზეზებითაც კი.

ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 193-1 მუხლი არარეგისტრირებული ორგანიზაციებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს **და ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით.** აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით 2011 წელს ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ ის ზღუდავს არა მხოლოდ ასოციაციის თავისუფლებას, არამედ სიტყვის გამოხატვის თავისუფლებასაც.

2020 წლის დეკრეტი და რეპრესიული მექანიზმების პიკი

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 2020 წლის 25 მაისს მიღებულ პრეზიდენტის #3 დადგენილებას - „უფასო უცხოური დახმარების შესახებ“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დამტკიცდა. დოკუმენტმა კიდევ უფრო გაამკაცრა უცხოური დაფინანსების რეგისტრაციისა და გამოყენების წესები და ხელისუფლებას მისცა მნიშვნელოვანი და დამატებითი ბერკეტები არჩევნების შემდგომი პოლიტიკური პროცესების კონტროლისთვის. დეკრეტით გამკაცრდა ანგარიშგების მოთხოვნების მექანიზმები და დაწესდა მკაცრი სანქციები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ორგანიზაციების საბოლოო დახურვის სამართლებრივ საფუძვლად.

პრაქტიკაში განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 24.14 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას **უცხოური უსასყიდლო დახმარების მიღებისა და გამოყენების წესების დარღვევისთვის.** 2024 წლის მონაცემებით, აღნიშნული ნორმა ფართოდ გამოიყენებოდა იმ პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტპატიმრების დასახმარებლად უცხოურ დაფინანსებას იყენებდნენ. ბელარუსში აღნიშნული ნორმის პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს **Viasna Human Rights Centre-ის საქმე.** ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად მუშაობდა პოლიტპატიმრების მხარდაჭერასა და მათი უფლებების დაცვაზე, ხელისუფლების მხრიდან არაერთხელ გახდა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზეწოლის ობიექტი. მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა უცხოური დაფინანსების მიღებისა და გამოყენების წესების დარღვევის ბრალდებები, რაც საბოლოოდ ორგანიზაციის საქმიანობის შეზღუდვასა და მისი წევრების, მათ შორის ალეს ბიალიაცკის, სისხლისსამართლებრივ დევნაც მოჰყვა.

გავლენა არასამთავრობო სექტორზე

მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩო და შერჩევითი აღსრულება იწვევს ათასობით არასამთავრობო ორგანიზაციის ლიკვიდაციას. ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ სახელმწიფოს არ დაუხურავს, ხშირად თვითლიკვიდაციას მიმართავენ რეგისტრაციის, საწესდებო მიზნების ან საქმიანობის შეუსაბამობის საფუძვლით, რაც პრაქტიკაში სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილი ზეწოლის შედეგია. განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლო პროცესების გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის საკითხი, რასაც ნათლად აჩვენებს ადამიანის უფლებათა ცენტრი „ვიასნას“ საქმე და მისი ლიდერის, ნობელის პრემიის ლაურეატის ალეს ბიალიაცკის მრავალჯერადი დევნა და პატიმრობა.

2021–2025 წლების მონაცემებით, 1215 რეგისტრირებული ორგანიზაცია იმყოფება იძულებითი ლიკვიდაციის პროცესში, ხოლო სულ მცირე 763 ორგანიზაციაში თვითლიკვიდაციის გადაწყვეტილება თავად დამფუძნებლებმა მიიღეს. ამავე პერიოდში, ექსტრემიზმის ბრალდებით გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს სულ მცირე 121 პირის მიმართ, რაც ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ სამართლებრივ მექანიზმად იქცა სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ.

5. ყირგიზეთი

ყირგიზეთის რესპუბლიკა დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალურ აზიაში ერთგვარ დემოკრატიულ გამონაკლისად და იმედად მიიჩნეოდა, რადგან გამოირჩეოდა შედარებით ღია პოლიტიკური სისტემით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებითა და უფრო თავისუფალი მედია გარემოთი. ეს კონტრასტი რეგიონის უფრო მკაცრ ავტორიტარულ რეჟიმებთან ქვეყანას მნიშვნელოვან ადგილს ანიჭებდა საერთაშორისო დონორებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობაში.

ქვეყანა, რომელიც ცნობილი იყო თავისი აქტიური არასამთავრობო სექტორითა და კორუფციისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე კრიტიკული დისკურსით, მრავალი წლის განმავლობაში სარგებლობდა დასავლური ფონდებისა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით. ეს გარემოება გარკვეულწილად უზრუნველყოფდა პოლიტიკური პროცესების შედარებით გამჭვირვალობას, თუმცა მეზობელი ავტორიტარული სახელმწიფოების კონტექსტში ხშირად აღიქმებოდა როგორც რეგიონში დემოკრატიული გავლენების გავრცელების პოტენციური წყარო.

2020 წლის პოლიტიკური კრიზისის შემდეგ ხელისუფლებაში პრეზიდენტ სადირ ჟაფაროვის მოსვლამ და კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომელმაც ძალაუფლების ბალანსი პრეზიდენტის სასარგებლოდ შეცვალა, ქვეყნის პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად გადახარა ავტორიტარიზმისკენ. ამ ცვლილებების ფონზე დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობაც, რომელთა მიზანიც იმ ინსტიტუტების რეგულირება/შეზღუდვა და კონტროლი იყო, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურების მონიტორინგსა და ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფენ.

პროცესის კულმინაცია გახდა „უცხოელი წარმომადგენლების“ შესახებ კანონის ინიცირება და მიღება, რომლის შინაარსიც და სტრუქტურაც თითქმის იდენტურია რუსეთის ფედერაციის 2012 წლის ანალოგიური რეპრესიული კანონისა. ეს კანონი ავალდებულებს უცხოური დაფინანსების მქონე ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან, **ფართო გაგებით განსაზღვრულ „პოლიტიკურ საქმიანობას“**, დარეგისტრირდნენ როგორც „უცხოური ინტერესების გამტარი აგენტები“. ტერმინი, რომელიც საზოგადოებრივ აღქმაში ხშირად ასოცირდება ღალატის ბრალდებასთან და უნდობლობის ძლიერ სტიგმასთან.

კანონის მიღების ეტაპები

პირველი ინიციატივა - 2016 წელი:

“აგენტების“ კანონის იდეა ყირგიზეთში პირველად 2016 წელს გაჩნდა. შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტის იმ წევრების მიერ იქნა ინიცირებული, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის რუსულ სამართლებრივ მოდელთან დაახლოებას უჭერდნენ მხარს. თუმცა, იმ პერიოდში დემოკრატიული ინსტიტუტების შედარებითი სიმტკიცისა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობის შედეგად, ეს ინიციატივა არ იქნა მიღებული.და კანონპროექტის ავტორების მცდელობა ჩაიშალა.

მეორე ეტაპი 2022-2024 წლები:

2020 წლის პოლიტიკური ცვლილებებისა და აქტივისტებისა და დამოუკიდებელი მედიის მიმართ მზარდი ზეწოლის ფონზე, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა კვლავ დაბრუნდა პოლიტიკურ დღის წესრიგში. 2022 წლის ნოემბერში „არაკომერციული ორგანიზაციების

შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი პარლამენტში დარეგისტრირდა, თუმცა მისი მიღების პროცესი დროში გაჭიანურდა და საბოლოოდ კანონად ქცევას თითქმის ორი წელი დასჭირდა.

კანონპროექტის მთავარი მიზანი იყო იმ ორგანიზაციების კონტროლი და დისკრედიტაცია, რომლებიც იღებდნენ უცხოურ დაფინანსებას და ახორციელებდნენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ხელისუფლების ინტერპრეტაციით „პოლიტიკურ“ სფეროს მიეკუთვნებოდა. საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია **„პოლიტიკური საქმიანობის“ ბუნდოვანმა განსაზღვრებამ, რომელიც მოიცავდა კორუფციის მონიტორინგს, გარემოს დაცვის აქტივობებს და ადამიანის უფლებების დაცვას, პრაქტიკულად სამოქალაქო სექტორის თითქმის მთელ სპექტრს.**

პარლამენტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით 2023 წელს მიიღო. საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლური სახელმწიფოები აფრთხილებდნენ ბიშკეკს, რომ კანონის მიღება ზიანს მიაყენებდა ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს და დააზარალებდა საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობას. მიუხედავად ამ გაფრთხილებებისა და მცირე პოლიტიკური პაუზისა, კანონპროექტი მეორე მოსმენით 2024 წლის თებერვალში დამტკიცდა, ოფიციალური ბიშკეკის მცირე კომპრომისით - ტექსტიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მუხლები ამოიღეს. თუმცა, მთავარი მექანიზმები მათ შორის, **„უცხოური გავლენის აგენტის“ სტატუსი, სავალდებულო რეგისტრაცია და მკაცრი ფინანსური ზედამხედველობა, უცვლელი დარჩა.**

კანონი საბოლოოდ 2024 წლის 14 მარტს იქნა მიიღებული. პრეზიდენტმა ჯაფაროვმა მას ხელი 2 აპრილს მოაწერა და განაცხადა, რომ კანონი აუცილებელი იყო ქვეყნის „გარე მავნე ჩარევისგან“ დასაცავად.

სამოქალაქო პროტესტის შეზღუდვა და რეპრესიული კონტროლი:

- ხელისუფლების მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვამ, ასევე აქტივისტების მიმართ განხორციელებულმა ზეწოლამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მასობრივი საპროტესტო აქციების ორგანიზება და ჩატარება.
- 2022 წლის მარტიდან ძალაში შევიდა მკაცრი აკრძალვები მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე, განსაკუთრებით პარლამენტისა და ცენტრალური საჯარო სივრცეების მიმდებარე ტერიტორიებზე, რაც პროტესტის საჯარო გამოხატვის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ამცირებდა.
- პროტესტის პრევენციის მიზნით, ხელისუფლებამ დაიწყო წინმსწრები ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ზომების გამოყენება. ამ კონტექსტში, 2024 წლის იანვარში, კანონის მეორე მოსმენამდე, განხორციელდა რეიდები დამოუკიდებელი მედია პლატფორმების — Temirov Live-ისა და 24.KG-ის ოფისებში, რა დროსაც დააკავეს 11 ჟურნალისტი.
- აღნიშნული მოვლენების კონტექსტში მნიშვნელოვანია ბოლოტ თემიროვის წინააღმდეგ მიმდინარე სამართლებრივი დევნის პროცესიც, რომელიც გააქტიურდა მას შემდეგ, რაც მან გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიებები კორუფციის შესაძლო შემთხვევებზე, სახელმწიფო შესყიდვებსა და მაღალი თანამდებობის პირების ფინანსურ ინტერესებზე. 2022 წლის დასაწყისში მას წაუყენეს ბრალდებები დოკუმენტების გაყალბებასა და ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეზე, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლური მედია ხშირად პოლიტიკურად მოტივირებულ დევნად აფასებდნენ. შედეგად, იგი ქვეყნიდან იქნა გაძევებული და საქმიანობას საზღვარგარეთ განაგრძობდა Temirov Live-ის მეშვეობით.

რეპრესიული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და აქტივისტებმა ადაპტაციის, გადარჩენისა და წინააღმდეგობის მრავალფეროვანი სტრატეგიები შეიმუშავეს ინსტიტუციური, ფინანსური და სამართლებრივი მიმირთულებით, როგორც ეროვნულ ისე ტრანსნაციონალურ დონეზე.

ვენესუელა - შიდა ადაპტაციის მექანიზმები და ფინანსური მედეგობა

ვენესუელაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეკონომიკური კრიზისის, ჰიპერინფლა-ციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიზების ფონზე საპასუხოდ შეიმუშავეს შიდა ადაპტაციის მექანიზმები.ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საქმიანობის დეცენტრალიზაცია, რაც ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს შეამცირონ ცენტრალიზებული კონტროლის რისკები და გააგრძელონ ოპერირება უფრო მოქნილი სტრუქტურით.

ვალუტის რისკების შერბილება გახდა ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია ჰიპერინფლაციისა და საბანკო შეზღუდვების პირობებში. ორგანიზაციებმა შეისწავლეს ვალუტის გაუფასურების, საერთაშორისო ტრანზაქციებისა და ბუღალტრული ოპერაციების მართვის მექანიზმები. პრაქტიკაში გამოიყენება ბოლივარისა და დოლარის პარალელური მიმოქცევა, ასევე ციფრული ვალუტების ნაწილობრივი ინტეგრაცია, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსგან შედარებით დაცულ დაფინანსებას.

ორგანიზაციული მდგრადობა ასევე ეფუძნება ეფექტიანობის ზრდას, რესურსების გაზიარებასა და ადამიანური კაპიტალის დაცვას. არასამთავრობო სექტორი უფრო მეტად კონცენტრირდა პრიორიტეტულ პროგრამებზე, შეამცირეს ნაკლებად კრიტიკული აქტივობები და გააძლიერეს თანამშრომლობა როგორც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. . ასეთი პარტნიორული თანამშრომლობა ქმნის „საზოგადოების მედეგობის“ მნიშვნელოვან საფუძველს და ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან მომდინარე რისკებს.

შიდა ინსტიტუციური მექანიზმების შეზღუდვის პირობებში, საერთაშორისო ორგანიზაციები იქცევიან ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის ძირითად წყაროდ. ამ კონტექსტში გაეროს ფაქტების დამდგენი მისია (FFM) ვენესუელაში ასრულებს მნიშვნელოვან როლს შესაძლო ადამიანის უფლებების დარღვევებისა და პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი შეზღუდვების დოკუმენტირებისა და შეფასების მიმართულებით.

სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ხშირად კოორდინირდება გლობალური უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ, მჭიდროდ თანამშრომლობს ვენესუელაში მოქმედ ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფებთან, მათ შორის Global Centre - თან. აღნიშნული აქტორები სტრატეგიულად მიმართავენ ძალისხმევას რეგიონული მხარდაჭერის მობილიზებისკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გაეროს ფაქტების დამდგენი მისიის FFM-ის მანდატის შენარჩუნება და პერიოდული განახლება. ამ მიმართულებით წარმატებული განახლებები განხორციელდა 2020, 2022 და 2024 წლებში, რაც ერთდროულად წარმოადგენს როგორც მნიშვნელოვან დიპლომატიურ მიღწევას, ასევე ადგილობრივი უფლებადამცველი აქტორებისთვის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მხარდაჭერას. FFM-ის მიერ რეპრესიების, ადამიანის უფლებათა დარღვევების სისტემური დოკუმენტირება გარკვეულწილად ზღუდავს სახელმწიფოს თვითნებური ქმედებების მასშტაბს და ქმნის დამატებით დაცვის მექანიზმებს იმ აქტივისტებისთვის, რომლებიც კვლავ ვენესუელაში რჩებიან. შესაბამისად,

გლობალურ ორგანიზაციებზე დაყრდნობა წარმოადგენს ეფექტურ სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და მექანიზმებს შიდა ინსტიტუციური კონტროლისა და ზედამხედველობის სისუსტის პირობებში.

ფილიპინები - სამართლებრივი და ფინანსური წინააღმდეგობის ფორმები

რთულ პოლიტიკურ და ინსტიტუციურ გარემოში ფილიპინების არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს სამართლებრივი და ციფრული წინააღმდეგობის სტრატეგიები. ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სასამართლო მექანიზმების აქტიური გამოყენება, როგორც ხელისუფლების გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და მათი კონსტიტუციურობის შემოწმების ინსტრუმენტი. ამავდროულად, სამართლებრივი პროცედურების გამოყენება ემსახურება რეპრესიული ზომების განხორციელების შეფერხებასა და დროის რესურსის მოპოვებას. აღნიშნული პრაქტიკა არ გულისხმობს სასამართლო სისტემისადმი უპირობო ნდობას, არამედ წარმოადგენს არსებული სამართლებრივი სივრცის მაქსიმალურად გამოყენების მცდელობას, მათ შორის ნაწილობრივ დამოუკიდებელი ინსტიტუტების პირობებშიც.

პარალელურად, ისინი აქტიურად იბრძვიან სახელმწიფო ინსტიტუტების რეორგანიზაციის, რეპრესიული კანონმდებლობის გადახედვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტრუქტურების შექმნისათვის.

ფინანსური გამოწვევები ამ კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან სექტორი ხშირად დამოკიდებულია უცხოურ დაფინანსებაზე, რაც ქმნის ინსტიტუციური მდგრადობის რისკებს. ამ გამოწვევების შესამცირებლად ორგანიზაციებმა დაიწყეს ფინანსური დივერსიფიკაცია, ადგილობრივი ქველმოქმედების გააქტიურება, სამთავრობო გრანტების სტრატეგიული გამოყენება და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები. გარდა ამისა, PCNC-ის (Philippine Council for NGO Certification) დახმარებით, ორგანიზაციები აძლიერებენ ინსტიტუციურ სტანდარტებსა და ფინანსური გამჭვირვალობის პრაქტიკებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის არასამთავრობო სექტორის საერთო მდგრადობასა და სანდოობას.

ბელარუსი - შეზღუდვების შემდგომი ფუნქციონირება და დიასპორული სტრატეგიები

მზარდი რეპრესიების ფონზე ბელარუსში არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო აქტივისტები მასობრივად ტოვებენ ქვეყანას და ქმნიან დიასპორულ სტრუქტურებს, რომლებიც საქმიანობას საზღვარგარეთ აგრძელებენ. 2020 წლის შემდგომ პერიოდში დაახლოებით 100 000 ბელარუსი მოქალაქე წავიდა ემიგრაციაში და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დასახლდა.

დიასპორის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული საზღვარგარეთ პოლიტიკური ლობირების მიმართულებით, ასევე, ორგანიზებას უწევენ საპროტესტო აქციებს საზღვარგარეთ, მათ შორის დიპლომატიური წარმომადგენლობების წინ და ეძებენ ფინანსურ რესურსებს, პოლიტპატიმრების მხარდაჭერისა და დამოუკიდებელი მედიის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ბელარუსის გარეთ მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მცირე ჩამონათვალია:

I. BYSOL – Belarus Solidarity Foundation – ფუნქციონირებს ლიეტუვასა და პოლონეთში, ფოკუსირებულია რეპრესიის მსხვერპლთა ევაკუაციასა და ფინანსურ დახმარებაზე.

II. OST – Office of Sviatlana Tsikhanouskya – მოქმედებს ლიეტუვაში და წარმოადგენს პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და კოორდინაციის ცენტრს.

III. BAJ – Belarusian Association of Journalists – მუშაობს ლიეტუვასა და პოლონეთში. მას შემდეგ, რაც 2021 წელს ბელარუსში ორგანიზაცია ლიკვიდირებულ იქნა ოფიციალურად დოკუმენტაციისა და რეგისტრაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის საფუძვლით, საქმიანობა განაგრძო დიასპორაში. ორგანიზაცია კვლავ უზრუნველყოფს ჟურნალისტთა მხარდაჭერას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას და რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს მედიის თავისუფლების მდგომარეობაზე.

IV. Lawtrend – იუსტიციის სამინისტროს სარჩელით, 2021 წელს მოხდა ორგანიზაციის იძულებითი ლიკვიდაცია დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შეუთავსებლობის გამო. ამჟამად კვლავ აქტიურად ოპერირებს და აქვეყნებს მონიტორინგს ბელარუსში არასამთავრობო და საზოგადოებრივი სექტორის შეზღუდვების შესახებ.

ციფრული ადაპტაცია და გადარჩენის მექანიზმები

რეპრესიული რეჟიმების პირობებში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის სასამართლო და მარეგულირებელი ორგანოები პოლიტიზებულია, სამოქალაქო სექტორი ხშირად გადადის „ჰიბრიდული გადარჩენის“ მოდელზე. ვენესუელისა და ფილიპინების მაგალითები აჩვენებს კონკრეტულ ადაპტაციურ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციული ფუნქციონირების შესანარჩუნებლად და ფინანსური და ინსტიტუციური რისკების შესამცირებლად.

1. ფინანსური მედეგობის ალტერნატიული გზები

როდესაც სახელმწიფო საბანკო შეზღუდვებითა და ჰიპერინფლაციით ცდილობს სამოქალაქო სექტორის პარალიზებას, ორგანიზაციები მიმართავენ შემდეგ სტრატეგიებს:

I. დეცენტრალიზებული ფინანსური ინსტრუმენტები (კრიპტოვალუტა): ვენესუელაში ზოგიერთი ორგანიზაცია იყენებს კრიპტოვალუტას ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების რისკის შესამცირებლად და საგარეო დაფინანსების მიღების ალტერნატიული არხების შესაქმნელად ისე, რომ გვერდი აუაროს ცენტრალური ბანკის რეპრესიულ კონტროლს.

II. არამონეტარული მხარდაჭერის სისტემა: პერსონალის შესანარჩუნებლად ორგანიზაციები ნაღდი ფულის ნაცვლად გასცემენ დაზღვევას უცხოურ ვალუტაში, უზრუნველყოფენ ლოჯისტიკურ დახმარებას (მაგ. ტრანსპორტირება) და საყოფაცხოვრებო რესურსებზე (წყალი, კავშირგაბმულობა) წვდომას.

III. სექტორთაშორისი კოლაბორაცია: „მარგარიტას საზღვაო მუზეუმის“ მაგალითი მნიშვნელოვანი მაგალითია კერძო სექტორთან პარტნიორობა, მათ შორის ავიაკომპანიებთან და კვების ინდუსტრიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, რაც ქმნის დამატებით შიდა რესურსულ ბაზას და ამცირებს მხოლოდ საერთაშორისო გრანტებზე დამოკიდებულებას.

2. უსაფრთხო კომუნიკაცია და დეზინფორმაციასთან ბრძოლა

ციფრული ავტორიტარიზმის პირობებში, როდესაც გამოიყენება მასობრივი მოსმენა და ვებსაიტების დაბლოკვა, სამოქალაქო სექტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთხო კომუნიკაციის უზრუნველყოფას და ინფორმაციული სივრცის დაცვას:

I. დაშიფრული მესენჯერების (EMA) სტრატეგიული გამოყენება: აპლიკაციები როგორიცაა WhatsApp და Signal გამოიყენება არა მხოლოდ ყოველდღიური კომუნიკაციისთვის, არამედ ორგანიზაციული კოორდინაციისა და მობილიზაციისთვისაც.

II. ინფორმაციული „ჰიგიენის“ ფილტრები: რადგან დახურული ჯგუფები შესაძლოა დეზინფორმაციის გავრცელების წყაროდაც იქცეს, ორგანიზაციები ნერგავენ შიდა გადამოწმების წესებს. უსაფრთხო კომუნიკაცია გულისხმობს არა მხოლოდ დაშიფვრას, არამედ ინფორმაციის წყაროების გადამოწმებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მანიპულირებული მასალების გავრცელება და მოძრაობის რეპუტაციის დაზიანება.

III. VPN და ცენზურის გვერდის ავლის ხელსაწყოები: ისეთ პირობებში, როდესაც მარეგულირებელი ორგანოები ზღუდავენ წვდომას სხვადასხვა ვებსაიტზე (კონატელის (ვენესუელა) მსგავსი მარეგულირებლები) ორგანიზაციები იყენებენ VPN ტექნოლოგიებს და ატარებენ ტრენინგებს ციფრული უსაფრთხოებისა და ონლაინ ცენზურის გვერდის ავლის პრაქტიკებზე.

3. იურიდიული და ინსტიტუციური თავდაცვა

I. სტრატეგიული სამართალწარმოება (ფილიპინების მოდელი): მაშინაც კი, როდესაც სასამართლო სისტემა მიკერძოებულია, ორგანიზაციები იყენებენ სამართლებრივ მექანიზმებს პოლიტიკური ზეწოლისა და ე.წ. „გაწითლების“ კამპანიების კონსტიტუციურ დარღვევებად გასასაჩივრებლად. ეს პროცესი ქმნის სამართლებრივ პრეცედენტებს, რომლებიც შემდგომში საერთაშორისო დონეზე ლეგიტიმაციისა და ადვოკატირების საფუძვლად გამოიყენება.

II. რესურსების დეცენტრალიზაცია და გაზიარება: ორგანიზაციები ერთმანეთს უზიარებენ ადამიანურ რესურსებს, ოფისებსა და ტექნიკურ რესურსებს. ასეთი მიდგომა ამცირებს ცალკეული ორგანიზაციის მოწყვლადობას, რადგან ერთის შეზღუდვა ან დახურვა არ ნიშნავს საქმიანობის შეჩერებას და ფუნქციები ნაწილდება ქსელურად.

III. საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მექანიზმები: შიდა ინსტიტუციური კონტროლის შესუსტების პირობებში, ორგანიზაციები ხშირად იქცევიან გაეროს ფაქტების დამდგენი მისიების (UN FFM) და სხვა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების „თვალებად და ყურებად“, რაც ქმნის გლობალური ანგარიშვალდებულების ქსელს და ამცირებს აქტივისტების მიმართ ძალადობრივი ან თვითნებური ქმედებების რისკს.